ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N33

23.01.2024 წელი
12:00 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 23 იანვარს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამი ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი) და **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 3 (სამი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის** მიერ, 2024 წელს დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.
   მომხსენებელი - ირაკლი გვილავა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, პირველ რიგში მოგახსენებთ 2023 წელს დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციას:

დასრულდა ქ. თბილისში, დიდ დიღომში, სკოლა "ფესვების" მიმდებარედ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის სამშენებლო სამუშაოების I ეტაპი. II ეტაპის სამუშაოები დაწყებულია და დასრულდება მაისის ბოლოს. ასევე დასრულდა ავეჯის და ტრენაჟორების შესყიდვა, მიმდინარეობს სპორტული ინვენტარის შეძენა.

ასევე დასრულების ეტაპზეა ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის სამშენებლო სამუშაოების I ეტაპი, მარტში დაიწყება II ეტაპი. მიმდინარეობს ავეჯის და ინვენტარის შესყიდვა. ცენტრი გაიხსნება მიმდინარე წლის ზაფხულში.

ვაზისუბნის დასახლებაში და დიდი დიღმის IV მ/რ-ში დასრულდა ღია ტიპის სკეიტ-მოედნების მოწყობის სამუშაოები, ასევე სრულდება ფეხბურთის მოედნის სამშენებლო სამუშაოები, რომელიც გაიხსნება მიმდინარე წლის თებერვალში.

დასრულდა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე სამი პადელის მოედნის სამშენებლო სამუშაოები, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტერიტორიის კეთილმოწყობა. პადელის მოედნები გაიხსნება მიმდინარე წლის თებერვალში.

დასრულების ეტაპზეა ქ. თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები, მიმდინარეობს ტრენაჟორების და ინვენტარის შესყიდვა. ცენტრი გაიხსნება მიმდინარე წლის გაზაფხულზე. დასრულდა ა(ა)იპ "ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის სტრუქტურული ერთეულის გლდანის საცურაო აუზის რეაბილიტაცია, მიმდინარე წლის თებერვლიდან ცენტრი დაიწყებს ფუნქციონირებას.

მიმდინარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები, მშენებლობა დასრულდება მიმდინარე წლის შემოდგომაზე. ხარვეზების გასწორების ეტაპზეა თბილისში, დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში მრავალფუნქციური საზოგადოებრივი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-საღარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. დასრულების ეტაპზეა ქალაქ თბილისში, გუმათჰესის ქ. N1-ის მიმდებარედ სპორტული კომპლექსის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდება მიმდინარე წლის გაზაფხულზე და ფილიალი დაიწყებს სრული დატვირთვით ფუნქციონირებას. ასევე დასრულების ეტაპზეა ვერის კორტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

მიმდინარე წელს იგეგმება ა(ა)იპ "ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის" მუხიანის რაგბის კომპლექსის მოედნის საფარის შეცვლა, მიმდინარეობს თანხების მოძიება: თემქის კომპლექსის რეაბილიტაციისთვის, ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრის რეაბილიტაციისთვის, ედელვაისის საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაციისთვის და ისანში გადახურული სკეიტ-მოედნის სამშენებლო სამუშაოებისთვის.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2024 წელს დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე